საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 7 19 00102528

31/01/2019

ააიპ "საქართველოს რეფორმების ასოციაციის"
ფაქტ-მეტრის დირექტორს ბატონ დავით ქუტიძეს
ელ. ფოსტა: irina_gurgenashvili@yahoo.com

ბატონო დავით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარმოდგენილ თქვენს წერილთან (სამინისტროში რეგისტრაციის N71650; 25.01.19) დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების შესაბამისად, გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 სექტემბრის №154/ნ ბრძანების მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის გადარიცხვას ახორციელებს პირველი ნოემბრის (სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის შემთხვევაში – 15 ნოემბრის) და პირველი აპრილისთვის. შესაბამისად,სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2013 წლიდან მოყოლებული, ინახავს ბაზის ასლებს და ინფორმაციას სტატუსშეჩერებული სტუდენტების შესახებ გასცემს მხოლოდ ამ თარიღების შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ 01.11.2018-ის მდგომარეობით საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტატუსი შეჩერებული ჰქონდა 53932 სტუდენტს, მათ შორის ფინანსური დავალიანების გამო - 17206 სტუდენტს. (მოიცავს მხოლოდ აკადემიურ საფეხურებს) ხოლო პროფესიულ განათლების ჭრილში გაცნობებთ, რომ 2014-18 წლებში, სტატუსი აქვს შეჩერებული მე-4-მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების 1 510 სტუდენტს, მათ შორის - 904 სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში. რაც შეეხება სტატუსის შეჩერების საფუძვლებს, აღსანიშნავია, რომ სტატუსის შეჩერების მიზეზების კონკრეტულ საფუძვლებს განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და შესაბამისად, უმეტესად ეს საფუძვლები სხვადასხვა შეიძლება იყოს.

პატივისცემით,

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

ადმინისტრაცია / საქმისწარმოების სამმართველო
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
გურამიშვილი თინათინ

თ. გურამიშვილი